



სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და კვლევითი ცენტრი

LEPL GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE
FOR GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION



ათონელის ქუჩა №9; 0105 თბილისი, საქართველო; (+995 32) 299 05 88; ელ-ფოსტა: g_ch_centre@yahoo.com
9, Atoneli St; 0105 Tbilisi, Georgia; (+995 32) 299 05 88; E-mail: g_ch_centre@yahoo.com



MES 2 19 01082822



23/08/2019

„მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელ დირექტორს,
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი წერილის (04/03-718. 16.08.2018) პასუხად მოგახსენებთ, რომ საქართველოს ჩრდილოეთ მაღალმთიანეთის ხუროთმოძღვრულ მემკვიდრეობაში ხადას ხეობას (დუშეთის რ-ნი) ადრე შუა საუკუნეების სათავდაცვო და საეკლესიო ნაგებობების, ასევე ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი კონცენტრაციით სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია, რაც ნათლად მეტყველებს წარსულში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ ისტორიული მხარის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

თბილისთან ახლოს, 9 კმ. სიგრძის ხადას ხეობაში, მცირე ტერიტორიაზე გაშლილ მრავალფეროვან ლანდშაფტში გაბნეულია პატარა სოფლები და ნასოფლარები იქ შემორჩენილი ტრადიციული საცხოვრებლის ნიმუშებით, ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლებით, როგორცაა ქოროლოს ეკლესია (X ს.), ცეცხლისჯვრის ციხე (IX-X სს.), იუხოს კოშკი (სავარაუდოდ, IX-X სს.), და სხვა. ადამიანის უწყვეტი ცხოვრების კვალს, შემთხვევით მიკვლეული არქეოლოგიური მასალა - ენეოლითის ხანიდან ადასტურებს. კლდის ქვაბულში გამართული, თუ გალავნიანი ციხეების, ცალკე მდგომი კოშკების, ეკლესიების, მემორიალური ადგილების (კაიშაურის ველი, ძველი სასაფლაოები), წარწერიანი ქვებისა და ქვა-ჯვარების სიმრავლე ამ ჯადოსნურ, ხელუხლებელ ბუნებრივ გარემოსთან ერთად ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის, რომლის კულტურულ-ისტორიული ღირებულება დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილ-შეფასებული.

აქ თავმოყრილი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ძეგლები: ეკლესიები, ხუთ-შვიდსართულიანი კოშკები, გალავნები და სხვა ნაგებობები, უმთავრესად IX- XVII სს.-ით თარიღდება. საშენ მასალად გამოყენებულია ფიქლის ქვა და ნაგებია მშრალი წყობის ტექნიკით. მათი ამჟამინდელი მდგომარეობა, გადაუდებელ მოვლა-პატრონობას საჭიროებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი საჭიროებების მნიშვნელობა, თუმცა ასევე ცალსახად საჭიროდ მიგვაჩნია, კანონის შესაბამისად, ამ ხეობის საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევა,

ნებისმიერი პროექტის ზეგავლენის შედეგების შესწავლა ამ ტერიტორიაზე განთავსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე და ეს მანამ, სანამ რაიმე სახის ფიზიკური სამუშაოები დაიგეგმება აღნიშნულ ხეობაში.

ქვეყანაში ბოლო პერიოდში წარმოებული მსხვილმასშტაბიანი პროექტის ანალოგიური პრაქტიკა ცხადყოფს, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 14, პ.3,4) მოთხოვნების შესაბამისად თუ როგორ განხორციელდა BP-ის (British Petroleum) ნავთობსადენის მაგისტრალის მშენებლობის დაწყებამდე ორი წლით ადრე (2003-2004) ყველა კვლევითი ტიპის სამუშაო. რაც გულისხმობდა მილსადენის გასწვრივ, 2 კილომეტრიან დერეფანში, მიწისზედა და მიწისქვეშა ძეგლების საფუძვლიან შესწავლ-მონიტორინგს და ხშირად ხადაზე გაცილებით ნაკლებ სენსიტიურ უბნებშიც კი.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად - „საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ნებისმიერი ზემოქმედება გარემოზე, მათ შორის კულტურულ მემკვიდრეობაზე, უნდა შეფასდეს, როგორც სკოპინგის (წინასწარულ) სტადიაზე; ასევე, შემდგომ, გარემოზე ზემოქმედების საფუძვლიანი შეფასების სტადიაზე და სხვადასხვა ასპექტებთან ერთად უნდა იძლეოდეს - „ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ. მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ“; (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 10. მესამე ნაწილი, პუნქტი “გ“).

ჩვენი მხრიდან გვინდა დავამატოთ, რომ საგანგებო კვლევების გარეშეც ნათელია, საავტომობილო მაგისტრალის ქვეშეთი - კობის მონაკვეთის პროექტით დაგეგმილი მშენებლობის მასშტაბი, რაც გულისხმობს 4 გვირაბის (მათგან ერთ-ერთი კაიშაურის პლატოზე; წკერეს მთის ქვეშ 9 კმ-იანი ძირითადი გვირაბის), 6 ხიდის, მაგისტრალის და მის გარდა 3 მეორეხარისხოვანი გზის, წკერეს გვირაბთან ტექნიკური შენობების, სატუმბო სადგურის, სავენტილაციო ოთახის, ასევე, გვირაბებისა და მიწის სამუშაოების შედეგად დაგროვებული მასალების საყრდენების მოწყობას, ხადას ხეობასთან შეუთავსებელია და არქეოლოგიის, ბუნების, ისტორიისა და ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლების ერთობლიობითა და სიმრავლით გამორჩეულ, უდაოდ უნიკალურ ხადას ხეობას საგანგებო მდგომარეობას უქმნის.

ასეთი მაღალი კულტურული და ტურისტული პოტენციალის მქონე ტერიტორიაზე, აღნიშნული პროექტით დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება სერიოზულ ზიანს მიაყენებს ბუნებრივ გარემოს, ლანდშაფტს, კულტურულ მემკვიდრეობას, ადგილობრივ მოსახლეობას და სამომავლოდ, გამოიწვევს ამ მხარის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი რესურსების შეუქცევად გაფლანგვას/განადგურებას.

ასეთი დიდი რისკის პირობებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიძველით და ინტენსიურობით გამორჩეულ ხადას პატარა ხეობაში პროექტის დერეფნის გასწვრივ, საგანგებო აღრიცხვა-ფიქსაციისა და შესწავლის გარეშე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მოქცევა, სრულიად დაუშვებელია.

საკითხის სიმწვავე ყველას ერთად გვაკისრებს ხადას ხეობის დაცვისა და გადარჩენის სერიოზულ პასუხისმგებლობას და აქტუალურს ხდის „ჭინვალი - ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი - კობის მონაკვეთის“ ჯეროვან შეფასებას, მანამ სანამ იქ გზის რაიმე მონაკვეთის გაყვანა დაიგეგმება.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენი წერილის საფუძველზე გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი თავად მიმართავს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თხოვნით, სათანადოდ იქნას გამოკვლეული და შესწავლილი ხადას ხეობა და შესაძლებლობა, იქ რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზანშეწონილობის შესახებ.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო / სსიპ გიორგი
ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი
ცენტრი
დირექტორი
ბელაშვილი თამარ

